

მერაბ ღალანდიე
(საქართველო)

ბატონიშვილი ვახუშტი ენისა და წიგნის გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის

ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1756) თავისი ნაშრომის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745) – იმ მონაკვეთში, სადაც იგი ამთავრებს ერთიანი საქართველოს ამბავთა გადმოცემას და სანამ შეუდგება საქართველოს დაშლის მომდევნო დროინდელი ისტორიის თხრობას, – „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“ (383)¹, – ცდილობს განსაზღვროს, დარჩა და არსებობს თუ არა სამეფოს დაშლა-დაყოფის შემდეგ რამე საყრდენი ან რამე მახასიათებლები, რაც განაპირობებდა პოლიტიკურად დანაწევრებული ქვეყნის სხვადასხვა განცალკევებულ მიწაზე მცხოვრებთა განუყოფლობის განცდას, ან კიდევ: რა ადასტურებდა მის დროს ამ ზოგადქართულ მთლიანობას, თუნდაც იმ დროისთვის ის ნამდვილად აღარც არსებულებო.

ვახუშტი გამოყოფს ერთიანობის სამ ამგვარ შენარჩუნებულ ნიშანს, – „სამნი ხილულნი ესენი“ (291), – თუმცა შემდგომ, ჩამონათვალის გარეთ, საგანგებო რიგითობის აღუნიშნავად, იგი მათ მეოთხე და მეხუთე ნიშანსაც დაუმატებს. ამ მახასიათებლებს იგი უკავშირებს არა იმდენად ეროვნებას (როგორც თითქოსდა მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო), ან რომელიმე სხვა გამაერთიანებელ მაჩვენებელს, რამდენადაც გარდასულ „ერთმეფობას“²: „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს ანცა სამნი ხილულნი ესენი, ვინაფთვან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა“ (291). ამ შემთხვევისას მნიშვნელოვანია დროის განმსაზღვრელი „ანცა“, რითაც ნათქვამია, რომ იგულისხმება იმჟამინდელი, ისტორიკოსის დროინდელი მდგომარეობა, მაგრამ გადმოცემული და შემონახული წარსულიდან. ეს ნიშნები კი, ვახუშტის აზრით, იმდენად თავისთავად მეტყველებს, რომ მის ნებისმიერ თანამედროვესაც კი ცხადად უჩვენებს ქვეყნის ოდინდელ ერთიანობას და, ამავე დროს, არწმუნებს, რომ მთელი, განუყოფელი ქვეყანა ერთ დროს ერთი მეფის მიერ იმართებოდა.

თუ ერთიანობის პირველი ნიშანი „რჯულით ქართველია“³, ერთიანობის მეორე ნიშნის შესახებ ნათქვამია ამგვარად: „მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა, ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული, და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უნცი?“, მოგიგებს მყის: „ქართული“, რამეთუ არა იტყვს არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა, და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“ (291-292).

უწინარესად, ცხადია, თუ ვინ იგულისხმება „წინთქმულთა მათ კაცთა“ სახელდებით: რა თქმა უნდა, ისინი, რომლებიც ავტორმა ორიოდ სტრიქონის

ნინ ჩამოთვალა, როცა დაასახელა, ვინც საკუთარ თავს „რჯულით“ ქართველად მიიჩნევს, ანუ „ქართველი“, „ჰერ-კახი“, „იმერი“ და „მესხი“ და (291), – მცხოვრებნი ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოთა და სამცხე-საათაბაგოსი.

ნიშნეულია, რომ ისტორიული საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომთაგან გამორიცხულია კავკასიის მთიელები, რადგანაც მათი ენა არაა ქართული, ხოლო დამწერლობა მათ, საერთოდ, არ გააჩნიათ, – ისინი „უნიგნონი“ (639) არიან. ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია, რომ ისტორიკოსი ამ არაქართველ ტომებს სხვაგან ენობრივად ასე ახასიათებს:

დიდოელები: „ენა აქუსთ თვისი საკუთარი“ (552);

ოსები: „კუალად არიან ვითარცა ნადირნი, უნიგნონი, უცოდინარნი. ენა აქუსთ ძუელი, დუალური, და ან უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინაფთაგან ჩერქესთა ენა სხუა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭასა მსლველთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსლველთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯალათასი“ (639);

ქისტები და სხვა კავკასიელები: „აქუსთ ენა თვისი საკუთარი“ (653).

ამდენად, კავკასიელ ტომებს არ გააჩნიათ დამწერლობა, მაგრამ აქვთ საკუთარი ენა, ხოლო მათთვის, – მაგალითად, ოსთათვის, – არამშობლიური ქართული ენის ცოდნა თუ უცოდინრობა განპირობებულია პრაქტიკული კავშირის საჭიროებით: ქართული მხოლოდ იმან იცის, ვისაც ქართველებთან – ქართლში თუ რაჭაში მცხოვრებლებთან – აქვს ერთიერთობა.

საყურადღებოა, რომ ვახუშტი ცალ-ცალკე, თავ-თავის ადგილას განიხილავს კიდევ იმ ტომებს, რომელთაც თავიანთი ენა აქვთ, მაგრამ ქართულადაც მეტყველებენ:

ჭანები: „იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამე“ (690);

მეგრელები ანუ ოდიშარნი: „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თვისი ენა, გარნა წამჰდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი – ღორონთი, ჩემი – ჩქიმი, და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხუა“ (783);

აფხაზები: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (786).

სვანები: „ენა თვისი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ (788).

კიდევ, განსხვავებული მდგომარეობაა სამხრეთ საქართველოში: თუ სხვა ტომებში წარჩინებულთა ენაა ქართული, ხოლო მდაბიონი საკუთარ, განსაკუთრებულ ენაზე მეტყველებენ, აქ – სამცხე-საათაბაგოში – ვითარება საპირისპიროა, კერძოდ, ქართული შინაურულ ენად ქცეულა, ხოლო საზეპურო ენა თურქულია: „ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული, გარნა წარჩინებულნიცა ნადიმთა და კრებულსა შინა უბნობენ ან თათრულსა და თვისთა სახლებსა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე“ (660-661), ხოლო ჯავახეთში მდგომარეობა ასე წარმოჩნდება: „ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნოებისათვის ოსმალთა“ (672)⁵.

ღირსშესანიშნავია, რომ ერთიანობის მეორე ნიშნის პირველ ჩამონათვალში ჯერ დასახელებულია „ნიგნი“, ანუ დამწერლობა, ანბანი, ხოლო შემდგომ – ენა; მერმე ეს თანმიმდევრობა შებრუნებულია („რა ენა და ნიგნი უწყი?“ – 291); ხოლო იქვე, მესამეგან, სადაც ამ წყვილს ამჯერად წინ უსწრებს მესამე მახასიათებელი, – ოდნავ ზემორე ისტორიკოსის მიერ დასახელებულ-განსჯილი „რჯული“, – თანმიმდევრობა ისევ იმგვარივეა: „რჯული“, „ენა“, „ნიგნი“ (291-292). სავარაუდოა, რომ ვახუშტი არ აცალკევებს ენასა და დამწერლობას, არ ამორებს მათ ერთმანეთს, რადგან ორივეს ერთად, დაუშორებლად მიიჩნევს მეორე ნიშნად, მაგრამ, ამავე დროს, არც ფიქრობს, – რაკი გულგრილია მათი თანანყობის მიმართ, – რომ ერთი მეორეს ან განაპირობებს, ან რამენაირ შედეგად მოსდევს.

ამასთანავე, ენისა და დამწერლობის ეს განუყოფლობა ტექსტის ავტორისათვის ისტორიულად იმითაც ჩანს დადასტურებული, რომ, ლეონტი მროველის კვალობაზე, ბატონიშვილი ვახუშტი მეფე ფარნაოზ (ფარნავაზ) პირველს არა მარტო დამწერლობის შექმნას მიაწერს, არამედ – ფაქტობრივად – ენის ჩამოყალიბებასაც („მეფისაგან ქმული“ – 291), რაშიც, როგორც ჩანს, იგულისხმება ის, რომ მისი მმართველობისას ქვეყნის სახელმწიფოებრივ-ოფიციალურ ენად გამოცხადდა ქართული. თავად ვახუშტი უფრო მკაფიოდ ამ საქმეს ასე წარმოჩენს, როცა ფარნავაზის ცხოვრებას აღწერს (რაშიც იგი მთლიანად ლეონტი მროველისეული „მეფეთა ცხოვრების“ ერთ მონაკვეთს ეყრდნობა⁶): „შექმნა ნიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული, და უბრძანა, რათა არღა-რა ზრახვიდნენ ენათა სხუათა თვნიერ ქართულისა“ (57). თუმცა უნდა ითქვას, ვახუშტისეული აღწერა უფრო კონკრეტული და კატეგორიულია, ვიდრე ლეონტისეული: თუ „მეფეთა ცხოვრებაში“ მხოლოდ აღწერილია მოვლენა, რომ სამეფოში ქართულის გარდა, სხვა ენაზე აღარ ლაპარაკობდნენ, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გამოკვეთს არა შედეგს, არამედ მეფის სწრაფვას, აიკრძალოს მეტყველება, ქართულის გარდა, ყველა სხვა ენაზე. ვახუშტიც, ისევ ლეონტის მსგავსად⁷, მიიჩნევდა, რომ ქართლის მოსახლეობის პირვანდელი ენა იყო სომხური („გარნა ამ ჟამამდე⁸ იყო საქართველოს ენა სომხური და ესოდენტა ნათესავთაგან იწყეს ენისა ქართულისა თქმად“ – 54), თუმცა გვიანდელ ხანაში ზოგიერთი გადამწერი უკვე თვითნებურად ცვლიდა ლეონტისეულ ტექსტს და პირველად სომხურ ენას ქართლის ნიადაგზე პირველადი ქართული ენით ანაცვლებდა⁹. სხვათა შორის, თუ ლეონტი ფარნავაზს ჯერ ენის გავრცელებას და მხოლოდ შემდგომ ანბანის შემოღებას მიაწერს, ვახუშტი მოვლენებს პირიქით ალაგებს: მეფე ჯერ ანბანს ქმნის და შემდგომ მოქმედებს ქართული ენის საყოველთაოდ გასავრცელებლად.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ როგორც ეროვნული ერთიანობის პირველი ნიშნის განსაზღვრისას ვახუშტისთვის ყველაზე სანდო და უპირატესი წყაროა რიგითი ქართველი, ამჯერადაც ასეა: ქართველებს შორის ერთიანობის განცდა მტკიცდება სწორედ რიგითი და ნებისმიერი ქართველისათვის დას-

მული სამი შეკითხვით: „რა რჯულსა ხარ?“, „რა ენაზე მეტყველებ?“, „რომელ დამწერლობას ფლობ?“. ამიტომ თვითგანცდა საერთოეროვნულია, სახალხოა, საზოგადოა, საყოველთაოა.

უეჭველია, რომ ენაცა და დამწერლობაც ვახუშტის იმგვარ განსაკუთრებულ ნიშნად თუ ნიშნებად მიაჩნია, რაც არა მარტო გამომიჯნავს ქართველებს სხვათაგან, არამედ მათი ერთიანობის განცდასაც განაპირობებს, რაკი არავის მოუვა აზრად თქვას, რომ ის მეტყველებს და წერს ან იმერულად, ან მესხურად, ან კიდევ კახურად („არა იტყვს [...] ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“ – 291-292).

რა თქმა უნდა, რუსეთის შუაგულში, მოსკოვში, თავისი დიდი წიგნის წერისას ვახუშტი არა მარტო ცხადად ხედავდა საკუთარი და მის თანამოძმეთა ენისა თუ დამწერლობის განსხვავებას გარშემო მყოფ არაქართველთა ენისა თუ დამწერლობისაგან, არამედ სწორედ ამ განსხვავებულობას მიიჩნევდა ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ, ერთ-ერთ უწინარეს ნიშნად: ეს ნიშანი იყო ქართული ენისა და ქართული დამწერლობის ფლობა, – „რჯულით“ ქართველობასთან ერთად. მით უმეტეს, რომ, თუკი „რჯული“ რამდენადმე მაინც ანათესავებდა ქრისტიანობის აღმსარებელ ქართველებს თუნდაც სომხებთან, თუნდაც ევროპელებთან, თუნდაც რუსებთან (განსაკუთრებით რუსებთან, – მათთან „ერთრჯულობის“ გამო), ენა და დამწერლობა – სრული უნათესაობის პირობებში – უჭოჭმანოდ გამოაცალკეებდა მათ ყველა ახლობელი თუ შორეული ხალხისაგან და თვალშისაცემი განსაკუთრებულობას ანიჭებდა.

მაინც, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შეიცავს ავტორის ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ განცხადებას, სადაც ენა და დამწერლობა უკვე აშკარადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან: „ხოლო რაოდენნი ქუეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით – მათათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი – საქართველოსანი, გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა, საკუთრად“ (793).

ვახუშტიმ კარგად იცის, რომ საქართველოს სამეფოს ოდინდელ ნიდაგზე მცხოვრებთა შორის ზოგიერთს საკუთარი ენა აქვს, რომელიც ქართულისაგან განსხვავდება, მაგრამ ერთიანი საქართველოს ყოფილ თუ მისუამინდელ არცერთ მკვიდრ ტომს საერთოდ არ გააჩნია საკუთარი ანბანი, – ცხადია, გარდა ქართველებისა, რომელთაც საკუთარი, ქართული ანბანი აქვთ. მაგრამ ეს მსჯელობა იმასაც გვაუწყებს, – რამდენადმე მოულოდნელად, – რომ არაქართულად მოლაპარაკე ადამიანები, თუნდაც საკუთარი ენის მფლობელები, საკუთარ ანბანად ქართულ ანბანს მიიჩნევენ ან მისით სარგებლობენ (ტიქესტში სიტყვასიტყვით ნათქვამია შემდეგი: ზოგიერთს განსხვავებული, თავისი საკუთარი ენა აქვს, მაგრამ არცერთს არა აქვს, ქართულის ანბანის გარდა, საკუთარი ანბანი). ძნელია, ჩამოყალიბებულად ითქვას, რა ცოდნა ან გამოცდილება უძევს საფუძვლად ამგვარ თვალსაზრისს ან, კიდევ უფრო კონკრეტულად, რამდენად წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ

არაქართულად მოლაპარაკე ადამიანები საქართველოში და როგორ და რაგვარი დანიშნულებით იყენებდნენ ისინი ქართულ ანბანს, – ყოველ შემთხვევაში, ვახუშტის თვალსაზრისით.

ვახუშტისეულ ზემორე მოყვანილ ენობრივ დახასიათებებში ტომობრივად გამოიყოფა, ჯერ ერთი, ისინი, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ (დიდოელები, ქისტები და სხვა კავკასიელები); მეორე, რომლებიც თავის ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ საქმიანი ურთიერთობისათვის ქართულ ენას დაისაჭიროებენ და ამიტომ, ამ დაჭირვების კვალობაზე, ქართულადაც ლაპარაკობენ (ოსები); მესამე, ვინც თავისი ენა იცის, მაგრამ ქართულადაც ლაპარაკობს (სვანები); მეოთხე, ვისმა მეთაურებმაც, ან წარჩინებულებმა იციან ქართული, მაგრამ, საზოგადოდ, თავიანთი ენით სარგებლობენ (იგივე ოსები, მეგრელები, აფხაზები); მეხუთე, ვისი მეთაურებიც, ან წარჩინებულნი საჯაროდ „თათრულად“, ანუ თურქულად ლაპარაკობენ, მაგრამ შინაურობაში ქართულად მეტყველებენ (სამცხელები, ანუ მესხები); მეექვსე, ვინც, საზოგადოდ, ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ვისი მეთაურებიც საქმიანი ურთიერთობისთვის იყენებენ „თათრულსაც“, ანუ თურქულს (ჯავახები); მეშვიდე, ვის შორისაც მხოლოდ ზოგიერთმა იცის ქართული (ჭანები).

დაბოლოს, ისევ და ისევ, ქართველი იგია, რომელიც შეკითხვისთანავე მისი საკუთარი ენის შესახებ, პასუხს იძლევა, რომ მისი ენა ქართულია, ანუ ასეთია ქართლელის, ჰერელ-კახელის, იმერლისა და მესხ-ჯავახის პასუხი.

მაინც სიზუსტისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ოსთა და აფხაზთა წარჩინებულებმა „უნყიან“ (639, 786), ანუ იციან ქართული, მიუხედავად იმისა, რომ თავ-თავის ენაზე ლაპარაკობენ, მათგან განსხვავებით, მეგრელი წარჩინებულები, როგორც ჩანს, ქართულ ენაზე ლაპარაკობენ („ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა“ – 783), თუმცა იციან, ასევე, თავისი ენაც – მეგრულიც.

რაც შეეხება თავად მეგრულ ენას, რომელსაც ვახუშტი ცხადად სწორედაც ენას უწოდებს (მეგრულ-ოდიშართა შესახებ ნათქვამია, რომ „აქუსთ თვისიცა ენა“ – 783), მიუხედავად იმისა, რომ ის ცალკე ენადაა მიჩნეული, ისტორიკოსს მეგრული მაინც დამახინჯებულ, „წამხდარ“ ქართულად წარმოუდგენია¹⁰, რასაც საგანგებოდ მეგრული ლექსიკიდან მოხმობილი რამდენიმე მაგალითითაც ამტკიცებს („ღმერთი – ღორონთი, ჩემი – ჩქიმი“ – 783). თუმცა იქვე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეგრელნი, – რაკი არ ფლობენ საკუთარ ანბანს, – ქართული, და „არა სხუა“ (783), ანბანით სარგებლობენ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ავტორმა კარგად იცის, რომ საქართველოს ოდინდელ სამეფოში სახლობენ ადამიანები, რომლებიც, მართალია, ქართული დამწერლობით სარგებლობენ, მაგრამ მათი ენა, თუნდაც ის მჭიდროდ ენათესავებოდეს ქართულს, მაინც არაა ის ქართული, რასაც ბატონიშვილი ქართლსა თუ კახეთში, გინდაც იმერეთში ისმენდა. იგი დარწმუნებულია, რომ მეგრელთა მეტყველება შესამჩნევად განსხვავდება

ქართველთა მეტყველებისგან, თუმცა ძნელია ითქვას, რამდენადაა იგი დარწმუნებული, რომ მეგრელიც, ზოგადად, ქართველად უნდა ჩაითვალოს, ან კიდევ რა ეგულება მეგრელთა ქართველებად აღიარების საფუძვლად. სავარაუდოა, რომ, მეგრული ენის „წამხდარ“ ქართულად აღიარებით, ვახუშტი მაინც ტოვებს მეგრელებს ქართულ ენობრივ სივრცეში, თუმცა ისინი ნამდვილად არ ჩანან იმ ჩამონათვალში, ვინც თავის მშობლიურ ენად უმაღლ ქართულს დაასახელებს („მოგიგებს მყის: „ქართული“ – 291), და არც მანამდე, იმათ შორის, ვინც თავს „რჯულით“ უმაღლ ქართველად აცხადებს („წამს მოგიგებს: „ქართველი“ – 291). როცა ვახუშტი სარგებლობს ფორმულირებით „წამჯდარი ქართულივე“ (783), ამგვარი გამოთქმა მისთვის აუცილებელიცაა და ხელსაყრელიც, რადგან ქართველი, ზოგადად, უნდა მეტყველებდეს ქართულად, ხოლო ის ენა, რომელზეც მეგრელი მეტყველებს, ვახუშტისთვის კვლავაც ქართულია, ოღონდ დამახინჯებული, „წამხდარი“ ქართული. მეგრელ-ოდიშარიც ქართველია იმიტომ და იმდენად, რატომაც და რამდენადაც იგი თავისად მიიჩნევს ქართულ „რჯულს“, ქართულ ენას, ქართულ ანბანს, – და „ერთმეფობის“ მესხიერებაცა და განცდაც მასში, სავარაუდოდ, ისევ უნდა იყოს შენარჩუნებული, როგორც ქართულს, კახელს, იმერელს თუ მესხს შეუნარჩუნებია.

სვანური, რომელიც, ასევე, ცალკე ენადაა გამოყოფილი (სვანებს „ენა თვისი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ – 788), ქართულისაგან სრულიად დამოუკიდებლადაა მიჩნეული და, მეგრულისაგან განსხვავებით, ვახუშტი საერთოდ ვერ შენიშნავს და, შესაბამისად, არც არნაირად არ აღნიშნავს მის რამენაირ კავშირს ქართულთან.

უნდა ითქვას, რომ, როცა ვახუშტი შეეხება ქართულ ენას (და, აგრეთვე, ქართულ დამწერლობას), როგორც „ერთმეფობისა“ და, შესაბამისად, ეროვნული ერთიანობის ერთ-ერთ შენარჩუნებულ ნიშანს, იგი საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს ქართული ენის ლეგიმიტურობის საკითხს მეზობელ სამყაროში გაბატონებულ სხვა ენებთან მიმართებით (რაც ასე მწვავედ იდგა ქართულ კულტურაში თითქმის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში¹¹, თუმცა საკითხის სიმწვავე არ ჩამცხრალა არც მომდევნო ხანაში) და არც არაფერს ამბობს ქართული ენის ლიტურგიულ გამოყენებასა და ამ გამოყენების მნიშვნელობაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის. როგორც ჩანს, ბატონიშვილს არ აფიქრებს, თუ როგორ აღიქმება ქართული ენა სხვა ენათა შორის ან რამდენად კანონიერი ან კანონზომიერია მისი გამოყენება კულტურულ თუ ლიტურგიულ ენად (ამ საკითხებს ვახუშტის ხანაში, – ისტორიულად ხანმოკლე მონაკვეთში, – სრულიად დაკარგული ჰქონდა თავისი სიმწვავე, რადგან ქართულ კულტურულ-საგანათლებლო და საეკლესიო სივრცეში უკვე ჩავლილ-დამთავრებული იყო ბერძნული ენის მჩატე ძალმომრეობა და ჯერ არ დაწყებულიყო რუსული ენის უფრო ტლანქი ძალმომრეობა). ისტორიკოსი არც იმას ცდილობს, გულისყური მიაპყროს ქართულის შედარებას ან დაკავშირებას სხვა მეზობელ თუ არამეზობელ

ენებთან (თუკი არ ჩავთვლით იმ გამონაკლისს, როცა იგი მსჯელობს მეგრული ენის კავშირის შესახებ ქართულ ენასთან). ამჯერად მისთვის ენა ოდენ ღირებული ნიშანია, დასტურია, რომ ერთ საერთო ენაზე მეტყველება და ამ ერთი საერთო ენის სახელდება საკუთარ ენად ქართველთა სხვადასხვა ტომების მიერ უცილობლად ღალადებს საქართველოს სახელმწიფოს ოდინდელ ერთმეფობაზე, ანუ ეროვნულ ერთიანობაზე, – რა თქმა უნდა, ისევე, როგორც „რჯულის“ ერთიანობისა და მეხსიერებით მისი მყარად შენარჩუნების შემთხვევაში.

ამგვარია მდგომარეობა, როცა ერთიანი სახელმწიფო უკვე დაშლილია და მისი მხოლოდ ხსოვნაღა შემორჩენილა სხვადასხვა ნიშნის სახით, რომელთაც ისტორიკოსი თანმიმდევრობით ჩამოთვლის. მაგრამ სხვაგვარი იყო მდგომარეობა, როცა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის ოდენ პირველი ნაკვთები ყალიბდებოდა და როცა ქვეყნის „შემოკრება“ ჯერ ისევე მისაღწევი მიზანი იყო. სწორედ ამ დროს, „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ დაწერამდე რვა საუკუნით ადრე, 951 წელს, „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულე წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელესონი ბერძულად ითქმის“ (ძეგლები 1963: 290).

ბუნებრივია, ვახუშტის არაფერი ეცოდინებოდა არც ამ ტექსტისა და არც მასში წარმორჩენილი წმიდანის შესახებ (რომელიც, – ამ საზოგადო ეცოდინრობიდან გამომდინარე, – გვიანდელ ხელნაწერებსა თუ გამოცემებში, საერთოდ, „ხანძოელად“ მოიხსენიებოდა, ასო „თ“-სა და ასო „ო“-ს შემთხვევითი აღრევის გამო, ან, კიდევ, „ხანძოეთელად“), რადგან გიორგი მერჩულის ნაწარმოები – „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ პირველად მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1911 წელს გამოქვეყნდა (Мерчуха 1911, მითითებული ფრაზა: Мерчуха 1911: 49)¹². როგორც ცხადად ჩანს, ამ გამონათქვამით ეროვნული ერთიანობის ერთადერთ საფუძვლად ენაა გამოცხადებული, მაგრამ, კერძოდ, ის ენა, რომელზეც ქართულ მიწებზე ღმრთისმსახურება აღესრულება¹³. მერჩულის განჭვრეტით, ერთიანი ქვეყნის პირველი გამოხატულება იმ გარემოში ისახება, სადაც ღმერთს ერთსა და იმავე ენაზე ადიდებენ. სწორედ ამ განაცხადში გამოვლინდება გამიჯვნა ბერძნულ-ბიზანტიური სამყაროსაგან, თუნდაც ენობრივად, თუმცა არა ლიტურგიულად (რასაც ადასტურებს საგანგებოდ დართული ერთი აღნიშვნა, – „ხოლო კვრიელესონი ბერძულად ითქმის“ (ძეგლები 1963: 290), – რომელიც ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობასთან შენარჩუნებულ ლიტურგიულ კავშირზე მეტყველებს). სავარაუდოა, რომ მერჩულე, ალბათ, სიტყვას არასოდეს დაძრავდა ქართველთა „რჯულის“ ან „რჯულით“ ქართველობის შესახებ, რადგან ის „რჯული“, რომლის აღმსარებლადაც მიიჩნევა იგი თავს, იმ ტრადიციაში პოულობდა საწყისებს, სადაც „Κύριε, ἕλεῖσιν“ მშობლიური ენის – არამხოლოდ ლიტურგიული – სიტყვები იყო. სასულიერო

მწერლის თვალსაზრისით, ქვეყნის გამაერთიანებელი დეულაბი იყო არა ქართველების „რჯული“ (ამგვარ განსაზღვრებას იგი ვერც კი წარმოიდგენდა, რადგან ქართველთა სარწმუნოებას უჭოჭმანოდ მიაკუთვნებდა ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის სარწმუნოებას¹⁴), არამედ ქართული ენა, ხოლო, მისი ეკლესიაცენტრისტულ-კლერიკალური ხედვიდან გამომდინარე, ქვეყნის ერთიანობის საფუძველი ეკლესიაში სუფევდა და ეკლესიაში გამოვლინდებოდა, – იგულისხმება ტაძრებში ქართულად აღვლენილი წირვა და ლოცვა. ამდენად, ბუნებრივია, რომ ჰაგიოგრაფი მსჯელობს ქართული ენის მხოლოდ ლიტურგიკული გამოყენების და არა მის სახელმწიფოებრივი ან ყოველდღიური დანიშნულების შესახებ, თუმცა შედეგი მაინც სახელმწიფოებრივია: მკაფიოა, რომ გამონათქვამი შეეხება არა იმდენად საეკლესიო მთლიანობას, რამდენადაც ქვეყნის ეროვნულ-ტერიტორიულ მთლიანობას.

ერთიანი ენა, რაც მერჩულისათვის მომავალი ერთიანობის მთრთოლავი მინიშნებაა, ვახუშტისათვის წარსული ერთიანობის მკრთალი დასტურია. თუ პირველი ჭვრეტს გაერთიანების სწრაფვით განმსჭვალულ ქვეყანას, რომელიც მის დროს ჯერ არც არსებობს და არც საგანგებო სახელდება განეკუთვნება, მეორე წარმოიდგენს ყოფილ საქართველოს სამეფოს, რომელიც მის დროს უკვე რამდენიმე ნაწილად დანაწევრებულა. თუ მეათე საუკუნეში მწერლის მიერ წარმოსახული ეს გაერთიანებული ქვეყანა ჯერ ისევ ქართლად მოიხსენიება, რაკი მისთვის სხვა სახელი არ დაურქმევიათ, თუმცა ის ტერიტორიულად ბევრად აღემატება ქართლს, მეთვრამეტე საუკუნეში უკვე აღარ არსებობს ის საქართველოს სამეფო, რომელიც ოდენ ისტორიკოსის წიგნის სათაურში ცხადდება, თუმცა ქართველებად – „რჯულითა“ და ენით ქართველებად – ისინიც იგულისხმებიან, ვინც იმჟამინდელი ქართლის საზღვრებს მიღმა სახლობენ.

რაც შეეხება თავად სახელს „საქართველო“, რომელიც, როგორც ნიშნულია, ვახუშტის წიგნის სათაურშივეა გაცხადებული, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიული ცნება, საფიქრებელია, ან არ არსებობდა, ან არ იყო გავრცელებული მაშინ, როცა „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ იწერებოდა¹⁵, თუმცა მისი შინაარსი, რასაც ის შემდგომ ხანაში გამოხატავდა, უკვე გიორგი მერჩულის დროსაც გამომკრთალ ხელშესახებ ნიშნებს მოიცავდა, – მათ შორის ერთიან ლიტურგიულ ენას, – ხოლო მაშინ, როცა ვახუშტი წერდა თავის ნაშრომს, ამ სახელის შინაარსის დასადგენად მეტ-ნაკლებად უკვე საჭირო გამხდარიყო შემორჩენილი ხელშესახები ნიშნების საგანგებოდ მოძიება, ჩამოთვლა თუ დალაგება.

მაგრამ, ასევე, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ, თუ ვახუშტი მსჯელობს ერის ერთიანობის განცდის შესახებ (თუნდაც სახელის ამგვარად დაურქმევლად), რომლითაც, მისი აზრით, განმსჭვალულია ყოველი ან ნებისმიერი ქართველი და რომელიც ეფუძნება ოდინდელი სახელმწიფოებრივი ერთიანობის, ანუ ერთმეფობის ხსოვნას (რაც სახელდებითაა მოხსენიებული),

გიორგი მერჩულის გამონათქვამი არამც და არამც არ ითვალისწინებს ეროვნული მთლიანობის პიროვნულ განცდას, ანუ იგი ყურადღებას სულაც არ მიაპყრობს სხვადასხვა პიროვნებათა მიერ ამ მთლიანობის არც ცნობიერ აღქმას და არც გათავისებას: ჰაგიოგრაფი მწერალი მხოლოდ მიწათა, ანუ ტერიტორიის ერთიანობას შეეხება და იგი არ იჩენს ცნობისწადილს, ჩანვდეს და გამოხატოს, თუ რამდენად საკუთრივად განიცდიან ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები სახელმწიფოებრივ ერთიანობას. მისთვის იმ დროს მნიშვნელოვანია ისაა, თუ რომელ ტერიტორიას შესაძლოა ეწოდოს ქართლი, ხოლო ასეთად კი მას ის მიწები მიაჩნია, სადაც ქართული ენა ლიტურგიულ ენად გამოიყენება, ანუ სადაც ისმის ქართული და ესმით ქართულად. ამ შემთხვევაში მერჩულისეული მნიშვნელობით სიტყვა „ქართლი“, რა თქმა უნდა, ტერიტორიულად არ შემოზღუდავს მხოლოდ მისდროინდელ პოლიტიკურ ქართლს, რადგან ქართულ ენაზე ღმრთისმსახურება სხვა ქართულ მიწებზეც აღევლინება (თუნდაც აფხაზეთის სამეფოში, სადაც წმიდა გრიგოლ ხანცთელს ამ ქვეყნის ხელმწიფე მონასტრის დაფუძნებას შესთავაზებს¹⁶), თუმცა იმჟამად ამ მიწებს არც ერთიანი სახელი აქვთ მინიჭებული და არც ერთიანობა აკავშირებთ. საქართველო (და „საქართველო“) ჯერ წინაა, ხოლო მის წინარესახედ ამ დროს მხოლოდ ქართლი (და „ქართლი“) ჩანს. „წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დაწერის ხანაში, როგორც ჩანს, პოლიტიკური და ნომინატიური ირეკლავს ერთმანეთს (სხვათა შორის, მოულოდნელად, „ქართლი“ მთლიანი საქართველოს აღსანიშნავად გამოიყენება საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი აღზევების ხანაში, თამარის დროს, – კერძოდ, მეფის სიკვდილის აღწერისას, თანაც მონარქისა და ეპოქის მიმართ ისეთ თვალსაჩინოდ პანეგირიკულ ტექსტში, როგორიცაა „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“: „თამარ დაიდინა ძილი იგი მართალთა [...] და აღივსო მზე ქართლისა“¹⁷).

გიორგი მერჩულის მომდევნო დროს, როცა უკვე თანდათანობით ყალიბდება ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელსაც საქართველო დაერქმევა, ლეონტი მროველი ქმნის (ანუ: ან წერს, ან ჩამოაყალიბებს, ან შეადგენს) სამეფოს იდეოლოგიურად გამომხატველ წიგნს, „ქართველ მეფეთა ცხოვრებას“, რომელშიც ოდინდელი, მითოსური ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელს, მეფე ფარნავაზს, მიენერება როგორც პირველი ქართული სახელმწიფოს დაარსება, ისე, ამავე დროს, ქართული ენის გავრცელებადამკვიდრება და ქართული ანბანის შექმნა: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენად ქართული და არღარა იზრახებოდა სხუად ენად ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა, და ამან შექმნა მნიგნობრობად ქართული“ (ქართლის ცხოვრება 2008: 46).

ზემორეც ითქვა, რომ ლეონტიისეულ ამ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებს ვახუშტიც.

თუ გიორგი მერჩულისათვის სახელმწიფოებრივ-ეროვნულ ერთიანობას (თუნდაც მომავალ ერთიანობას) განაპირობებს ერთიანი ლიტურგიული

ენა, ლეონტი მროველს მიაჩნია, რომ ამგვარი აუცილებელი დულაბია სახელმწიფო ენა, – ის ერთი ენა, რომელზეც ქვეყნის ხელისუფალი და ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები მეტყველებენ, ერთმანეთს ელაპარაკებიან, საქმეებს წარმართავენ; სახელმწიფო, სხვა ძირითად საფუძვლებთან ერთად, ენის საფუძველზე და ენის ირგვლივ ყალიბდება. მერჩულეს მიაჩნია, რომ პიროვნებასაც, პიროვნულ ურთიერთობებსაც, პიროვნულ კავშირებსაც განაპირობებს და უნდა განაპირობებდეს ეკლესია, ამიტომაც ქვეყნის ერთიანობის ჩამოყალიბებაც მხოლოდ ეკლესიის ძალუძს და ამ ერთიანობის გადამწყვეტი ნიშანია ერთი საღმრთისმსახურო ენა. მროველის თვალსაზრისით, სახელმწიფო აღიარებს და აცხადებს ერთ ენას, რომელიც ქვეყნის ერთიანობას ედება საფუძვლად, ხოლო შემდგომ კი, ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენს და განასახიერებს.

ლეონტის სჯერა, რომ ცალკეული პიროვნების ეროვნულ კუთვნილებასაც უწინარესად ენა განაპირობებს¹⁸. ამ მხრივ, საგულისხმო და მრავლისმეტყველია, „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“ რაგვარ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ისტორიკოსი პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის და პირველი არაქართლოსიანი მეფის, სპარსი მირიანის, „გაქართველების“ თანმიმდევრობას. იგი საგანგებოდ აღწერს ნაბიჯებს, გადადგმულს მირიანის მიერ ამ მიმართულებით და აღწერს იმასაც, თუ ამ ნაბიჯებს როგორი გამოძახილი მოჰყვა ქართველთა მხრიდან: „და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შჯდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენად სპარსული და ისწავა ქართული. და ჰმატა შემკობად კერპთა და ბომონთად. და კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქმნა სათნოებისათვის ქართველთადასა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითავე დიდებითა. შეიყუარეს იგი ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 79)¹⁹.

მოვლენათა თანამიმდევრობა, როგორც ჩანს, ამგვარია: მართალია, სპარსი მირიანი დაბადებით მიეკუთვნება სპარსთა „რჯულს“ და მისი სამეტყველო ენა სპარსულია, მაგრამ უცხოტომელი, უცხო „რჯულისა“ და უცხოენოვანი მეფე შეიყვარებს თავის ქვეშევრდომებს, ხოლო ამ სიყვარულის ნიშნად, პირველ ყოვლისა, დავიწყებს მშობლიურ ენას და ქართულად ამეტყველდება; შემდგომ იგი იღებს ქართველთა სარწმუნოებას, გაამშვენინერებს ადგილობრივ კერპებს და კეთილად შემოიკრებს ადგილობრივ ქურუმებს, რითაც თავისი სარწმუნოებრივი მხურვალეობით ქართლის ყველა მეფეს გადააჭარბებს; ბოლოს, იგი ეთაყვანება და განაბრწყინვალებს ქართველთა უპირატეს სალოცავს – ფარნავაზის საფლავს, ხოლო ქართველებისათვის არ დაიშურებს არც ქონებრივ და არც თანამდებობრივ ნოდებრივ განდიდებას. ყოველივე ამას მირიანი იმ განზრახვით აკეთებს, რათა მოაწონოს თავი ქართველებს და ქართველებიც მას განსაკუთრებუ-

ლი სიყვარულით უპასუხებენ: მეფე მირიანს ყველა ქართველ მეფეზე უმეტესად შეიყვარებენ. ამ მონათხრობს უცილობლად ამგვარი უწყება აქვს: ქართული ენისა და ქართული „რჯულის“ შექმნით, არაქართველი მეფე იმგვარ „ქართველობას“ შეიძენს, რომლითაც უპირატესობასაც კი მოიპოვებს მის წინამორბედ ქართლოსიან ქართველ მეფეთა მიმართ²⁰.

მოსალოდნელი იყო, რომ ვახუშტი, რომელიც ერთმეფობის თვალსაზრისით ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც „რჯულს“, ისე ენას, უყურადღებოდ არ დატოვებდა „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ამ მონაკვეთს, სადაც ასე ცხადადაა აღწერილი მირიანის „გაქართველება“: ჯერ მის მიერ ქართული ენის გათავისება²¹ და შემდგომ ქართული რელიგიური ტრადიციების, ქართული სახელმწიფო „რჯულის“ მიღება²², რაც, საბოლოოდ, პირველი ქართლოსიანი მეფის, ფარნავაზის, საფლავის გამორჩეული რელიგიური აღზევებით გამოიხატა (ვახუშტის თვალსაზრისით ნინაპართა საფლავს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და იგი სხვაგან მსჯელობს კიდევ მისი ნიშნობრიობის შესახებ ეროვნული ერთიანობის მოპოვებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით). მაგრამ მოხდა ისე, რომ ლეონტისეული ისტორიული თხრობიდან თავის ისტორიულ თხრობაში ვახუშტი მხოლოდ ამ ერთ მშრალ ფრაზას ტოვებს: „მირიან შეიყუარეს ქართველთა და მირიან – უმეტეს ქართველნი“ (71). თუმცა ვახუშტი არც კი შეყოვნებულა და საჭიროდაც არ მიუჩნევია, ეჩვენებინა ან აეხსნა თუნდაც მიზეზი, თუნდაც საფუძველი ამ შეყვარებისა.

მით უმეტეს უცნაურად ჩანს ვახუშტის მხრივ ეს უყურადღებობა მირიანის მიერ ენისა და რწმენის შეცვლის მიმართ, – უფრო მეტიც, ამ ფაქტის თვალშისაცემი უგულვებლყოფა, ნებისეული ნაშლა ისტორიული ქრონიკიდან, – მაშინ, როცა ლეონტისეული ტექსტის ზემორე მოყვანილი მონაკვეთი თითქმის სიტყვასიტყვით, თითქმის უცვლელად ემთხვევა „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტს²³, რომელიც ვახტანგ მეექვსის დავალებითა და მეურვეობით შემუშავდა, – ფაქტობრივად, ვახუშტის გარემოცვაში, – თუმცა რომლის მიმართაც, უნდა ითქვას, ვახუშტის დამოკიდებულება უკიდურესად უარყოფითი იყო („ახალი ქართლის ცხოვრების“ ვრცელი და სასტიკი კრიტიკა: 292-304).

დასასრულ, აუცილებლად მოსახსენიებელია ძველი საქართველოს გვიანდელი ხანის ერთი პოლიტიკური დოკუმენტი: „ტრახტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა“, რომელიც 1790 წელს, ტფილისში შემუშავდა დაშლილი საქართველოს მეფეთა და მთავართა შეთანხმების შედეგად. როგორც ჩანს, ტრახტატის შექმნის შთამაგონებელი ყოფილა ქართლ-კახეთის სამეფო კარის მდივანი სოლომონ ლიონიძე (1754-1811), და, სრულიად შესაძლოა, ხელშეკრულების ტექსტიც უშუალოდ მისივე დაწერილი იყოს²⁴. ტრახტატი ამგვარად იწყება: „ვიწინადგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა,

ოდისისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისათვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, [...] აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა [...]"²⁵.

ცხადია, რომ ამჯერად, ხელშეკრულების ამ მონაკვეთით, იგულისხმება არა „ერთმეფობა“ და არც ერთიანი სახელმწიფოებრივი ტერიტორია, არამედ მსჯელობა შეეხება „ყოველთა ივერიელთა“²⁶ თვითმეგნებას, ანუ ყოველი ქართველისათვის ჩვეულ ერთიანი ეროვნულობის განცდას, რომლის ფუძემდებელ ნიშნებად მიჩნეულია: სარწმუნოებრივი და ეკლესიური თანაკუთვნილება, საერთო ენა და, კიდევ, როგორც სისხლისმიერი ნათესაობა, ისე დანათესავების საფუძველზე აღმოცენებული მოყვრული კავშირები; ამ ადამიანებს კი ერთმანეთთან აკავშირებს „მავასხებლობითი“²⁷, მასესხებელი სიყვარული, ესე იგი, იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არსობრივად ერთმანეთის მიმართ დამავალელები და დამავალდებულებელია. რა თქმა უნდა, ივარაუდება, რომ სწორედ ეს ნიშნები განაპირობებს და ბალავრადაც უნდა დაედოს სახელმწიფოებრივ ან მოკავშირეობრივ (ანუ სახელმწიფოთა შორის) „მტკიცესა ამას ერთობასა“.

ღირსშესანიშნავია, რომ ქართველთა საერთო სარწმუნოებას სახელი არა აქვს დარქმეული (მას არ ჰქვია არც ქართული ან ქართველთა „სჯული“ და არც „მართლმადიდებლობა“): მას, ზოგადად, „ერთმორწმუნება“ ეწოდება, ესე იგი, მხოლოდ აღინიშნება ის სარწმუნოება, – დაუსახელებლად – რომელიც ქართველებს აერთიანებს. განსხვავებით სარწმუნოებისაგან, კონკრეტულადაა დასახელებული ეკლესია, რომლის შვილებად („შობილნი“) გამოცხადებულია ყველა ქართველი: კათოლიკე ეკლესია, რაც საყოველთაო ქრისტიანულ ეკლესიას ნიშნავს. სხვათა შორის, როგორც დოკუმენტიდან მკაფიოდ ჩანს, ამ ხანაშიც კი, ძველი საქართველოს დაისისას, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ეკლესიის ტრადიციული სახელწოდება „კათოლიკე“ (იმ ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი გამიჯვნის კვალობაზე, სადაც ერთმანეთისაგან განსხვავდება: ეკლესია – „კათოლიკე“, სარწმუნოება – „მართლმადიდებელი“; მართალი სარწმუნოების ეს ჩვეულებრივი, დამკვიდრებული სახელდება თანდათანობით, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, ჯერ რუსეთის იმპერიულ-სინოდური ეკლესიის სახელწოდებაში გაჩნდა, ხოლო შემდგომ, ზოგადად, - აღმოსავლურქრისტიანულ ეკლესიათა თვითსახელწოდებად დამკვიდრდა, რითაც ის ჩაენაცვლა „კათოლიკეს“ და ეკლესია გამოცხადებულ იქნა „მართლმადიდებლად“, რავგარი სახელწოდებაც – „მართლმადიდებელი ეკლესია“ – ძველ საქართველოში ერთხელაც არსად გვხვდება²⁸).

ტრაქტატის მიხედვით, ქართველებს, სარწმუნოებისა და ეკლესიური მიკუთვნების ერთიანობის მსგავსად, ენაც აერთიანებთ, საერთო ენა აქვთ,

ესე იგი, როგორც ჩანს, ოდიშართა ენაც ან ქართულ ენადაა მიჩნეული (ისევე გასახსენებელია, რომ ვახუშტიც მეგრულს ქართულ ენად, ოღონდ „ნამხდარ“ ქართულად მიიჩნევს – 783), ან, კიდევ, მას საშინაო გამოყენების დანიშნულება ეკისრება და მეგრელთათვისაც სახელმწიფოებრივ (პოლიტიკურ-კულტურულ) ენად მაინც ქართული რჩება.

ამგვარად, ქართულ სამეფო-სამთავროთა ოდინდელი (და შესაძლო მომავალი) მთლიანობა ან, უფრო ზუსტად, ქართველ ადამიანთა სწორედაც ეროვნული ერთიანობა, ამ დოკუმენტის შემდგენელთა – ან სულაც სოლომონ ლიონიძის – თვალსაზრისით, ვლინდება სარწმუნოების (ასევე, ეკლესიური კუთვნილების), ენისა და სისხლის (ასევე, ნათესაობის) ერთიანობით.

აღსანიშნავია, რომ, რამდენადაც ტრაქტატში ლაპარაკია „ყოველთა ივერიელთა“ შესახებ, რომელთაც „აქვსთ“ გარკვეული ნიშნები ან რომლებიც „არიან“ გარკვეული ნიშნების მქონებელნი, იმდენად ყველა ეს ჩამოთვლილი განსაზღვრა უეჭველად გულისხმობს უწინარესად პიროვნულ მიკუთვნებას ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, არა გუნდი იკუთვნებს და შეირთებს ამა თუ იმ პიროვნებას საკუთარი წესებისა თუ მოთხოვნების მიხედვით, არამედ პიროვნებები მიეკუთვნებიან გუნდს და მათ მიერ ყალიბდება გუნდი: ამდენად, პირველად ნარმოჩნდება არა კრებული, არამედ ერთეული პიროვნება. ცალკეულთა ერთობლიობა ქმნის და წარმოშობს საერთოს, ხოლო საზოგადო არ ფარავს და არც ჩრდილავს კერძოს.

ვახუშტისათვისაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტად მნიშვნელოვანია პიროვნული განცდა ყოველი ქართველი პიროვნებისა (იმიტომაც მსჯელობს იგი საგანგებოდ „ვისმე“ ქართველზე, იმერზე, მესხზე თუ კახზე – 291), რომელთა მთლიანობითაც, – ცოცხალთა და მკვდართა შემადგენლობით, – მართალია, ყალიბდება ერთიანობის ზოგადი შეგნება, რაც ეროვნულ ჩარჩოებში საყოველთაოა, ხოლო ყველა ქართველისათვის საერთოა, მაგრამ ვახუშტისეული ხედვა მაინც არანაირად არ გაცდება პიროვნულის ფარგლებს, მაშინ, როცა ტრაქტატისეული (ან ლეონიძისეული) ნათესაობა თუ დანათესავება უკვე პიროვნებათა შორის კონკრეტული, ხელშესახები კავშირია, განპირობებული ან სისხლისმიერი, ან გვაროვნულ-სათემო სიახლოვეთ, თუმცა ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოებრივ თუ ეროვნულ მთლიანობას საძირკველი მოეპოვება კერძო ადამიანთა ჯგუფების, გუნდების სახით.

ტრაქტატისაგან განსხვავებით, ვახუშტი ნამდვილად არაფერს ამბობს ქართველთა შორის არც სისხლისმიერ და არც ნათესაობით ან დანათესავებით კავშირებზე (ფაქტობრივად, პიროვნულ, პიროვნებათა შორის კავშირებზე), რაც მისგან მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც, რაც უნდა ნართაულად ჭვიოდეს ვახუშტის გამონათქვამებში მცდელობა ეროვნული ერთიანობის ნიშნების მოსაძიებლად, ამ შემთხვევაში ისტორიკოსი გაცხადებულად მაინც ერთმეფობის ნიშნების შესახებ მსჯელობს.

რაკი ვახუშტის მიაჩნია, რომ ამ ყოფილი ერთმეფობის მეორე „ხილული“ ანუ მეორე „ნიში“ ქართული ენაა, საბოლოოდ უნდა განისაზღვროს, რომ,

მისი თვალსაზრისით, ეს – მისთვის ნიშნობრიობის მქონე – ქართული ენა არც ქვეყნის გამაერთიანებელ-შემაკავშირებელი საეკლესიო-ლიტურგიული ენაა, და, როგორც აღმოჩნდა, არც დაშლილ ქვეყანაში მცხოვრებთა საერთო ენა: იგი მსჯელობს იმ ენის შესახებ, რომელიც ქვეყნის ოდინდელი მთლიანობის ჟამს ქვეყნის ერთიანი სახელმწიფო ენა იყო.

ამდენად, ვახუშტისეული პირველი და მეორე ნიშანი, რა თქმა უნდა, მეტყველებს ეროვნულ ერთიანობაზე, ოღონდ იმ ერთი, მის დროს უკვე აღარარსებული სახელმწიფოსი, რომლის სახელმწიფო სარწმუნოება და სახელმწიფო ენა განსაზღვრულია როგორც ქართული, ხოლო ამ ორგანზომილებიანი ერთიანობის ხსოვნა ცოცხლად და ქმედითად შეუნახავთ ოდინდელი სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მემკვიდრეებს.

ყოველი ქართველის მიერ გაცხადებულად აღიარებული სახელმწიფო სარწმუნოებისა და სახელმწიფო ენის ერთიანობის გარდა (იმ გარემოშიც კი, როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო კარგა ხნის წინათ გამქრალა), ვახუშტი მოძებნის ერთიანობის მესამე ნიშანსაც, – სამეფო წარწერებს, – რომელსაც უკვე ნივთიერად გამოხატული, თვალხილული სახე აქვს.

შენიშვნები:

1. ციტატები ბატონიშვილ ვახუშტის ნაშრომიდან – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – აქ და შემდგომ ყველგან მოყვანილია ამ გამოცემის მიხედვით: ქართლის ცხოვრება, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973. ტექსტის გვერდები მითითებულია ციტირებისთანავე; გამოცემისეული პუნქტუაცია ზოგან გასწორებულია აზრის ან კონტექსტის შესაბამისად.

2. „ერთიანობა ჩვენს დაუვინყარს ისტორიკოსს წარმოდგენილი აქვს ერთმეფობის სახით“ – (ჯავახიშვილი 1977: 334).

3. იხ. დანვრლებით: (ღალანიძე 2018: 9-27).

4. ლექსემა „ჯალათა“ ვახუშტის ტექსტის გამომცემელს შეტანილი აქვს თანდართულ ლექსიკონში, მაგრამ იმგვარი პირობითი აღნიშვნით, რომელიც მისი განმარტების შეუძლებლობას მიუთითებს (1098).

5. ვახუშტის დამოკიდებულება ენის, როგორც ეროვნული ვინაობის, ნიშნის მიმართ – სხვა წყაროებთან ერთად უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე – ამოკრიბა და განიხილა ვინფრიდ ბოედერმა (ბოედერი 1998: 60-81); მისი თვალსაზრისი ამგვარია: „ვახუშტი, ცნება „ქართველის“ ამორფული საზღვრების მიუხედავად, ქართველებს უწოდებს იმას, ვინც ქართულ ეროვნულ ერთობას და ქართულ ეკლესიას განეკუთვნება მაშინ, როდესაც ან სარწმუნოების კრიტერიუმი არ არის სრულად დაცული (სამხრეთ საქართველოს ზედა ფენა), ანდა ენისა (სხვაენოვან უმცირესობათა ან მეგრელთა შემთხვევაში)“ (ბოედერი 1998: 77).

6. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“: „ამან განავრცო ენად ქართული და არღარა იზრახებოდა სხუად ენად ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა, და ამან შექმნა მნიგნობრობად ქართული“ (ქართლის ცხოვრება 2008: 46); ფარნავაზის, რო-

გორც ეროვნული სახელმწიფოს ფუძემდებლის, ლეონტიეული კონცეფციის შესახებ, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ენობრივ-სადაამწერლობო პოლიტიკას, იხ. (ალექსიძე 2010: 324-327).

7. „აქამომდის ქართლოსიანთა ენა ენად სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 35).

8. იგულისხმება ნაბუქოდონოსორ მეორის (605-562 ქრისტემდე) ხანა.

9. ამ საკითხთან დაკავშირებით ხელნაწერთა გადასწორების შესახებ იხ. (გრიგოლია 1954: 290-291).

10. შდრ. სულხან-საბა ორბელიანი: „შღურტული – მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი“ (ვარიანტი: „ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენონათა ლაპარაკი“) (ორბელიანი 1991: 636); საგულისხმოა, რომ ოდნავ ადრე, იტალიელი მისიონერიც, არქანჯელო ლამბერტიც (იგი ოდიშის სამთავროში იმყოფებოდა 1630 წლიდან 1649 წლამდე) მეგრულსა და ქართულს შორის იმგვარსავე განსხვავებას ამჩნევს და აღნიშნავს, როგორც შესამჩნევია მის მშობლიურ იტალიურსა და ლათინურს შორის: „მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომლებიც დანერლია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენით, ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური ლათინურიდან განირჩევა“ (ლამბერტი 1991: 150); ასევე, შდრ. ფრანგი ჟან შარდენის ჩანაწერი (იგი სამეგრელოში ჩავიდა 1672 წელს): „კოლხების ენა წამოსდგება იბერიულიდან, ანუ ქართულიდან“ (შარდენი 2018: 133).

11. ქართული ენის ლეგიტიმაციის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში იხ. (ბოედერი 2005: 53-55), (ბოლქვაძე 2005: 74-89), (დობოჯგინიძე 2010: 100-111).

12. შდრ. „შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გრიგოლ ხანძთელის უზარმაზარი საქმიანობისა და ღვაწლის შესახებ საქართველოში არავითარი ცნობა არ არსებობდა, სანამ ნიკო ჩუბინაშვილმა 1845 წ. იერუსალემის ქართველთა მონასტერში არ მიაკვლია მისი ცხოვრების შემცველ ხელნაწერს, რომელიც ნიკო მარმა გამოსცა 1911 წ.“ (გაბიძაშვილი 2010: 440); შდრ. (ნაცვლიშვილი 2018: 54-58).

13. „ეროვნული ლიტურგია გახდა საფუძველი ეკლესიის ავტოკეფალიისა, რაც ქვეყანას აძლევდა საშუალებას [...], მიეღწია ავტონომიურობის მაღალი ხარისხისათვის და თავი დაეცვა პოლიტიკური და ეთნიკური ასიმილაციისაგან“ (ბოლქვაძე 2010: 15).

14. შდრ. „წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოდსა კათოლიკე სამოციქულოდსა ეკლესიისა“ (ძეგლები 1963: 312).

15. „ნარატიულ წყაროებში „საქართველო“ პირველად და მხოლოდ ერთხელ გვხვდება ჯუანშერთან (IX ს.). დოკუმენტთაგან პირველად „საქართველო“ მოხსენიებულია [...] 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში, ხოლო 1103-1105 წლებში რუის-ურბნისის კრებაზე ოფიციალურად გაცხადდა როგორც ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სახელი“ (ალექსიძე 2016: 390).

16. ტექსტიდან (ძეგლები 1963: 268) ცხადად ჩვივის, რომ ამ დროს აფხაზეთი პოლიტიკურად სხვა, ცალკე ქვეყანაა („ქუეყანასა ამას“, „ამის ქუეყანისაჲ“ – იქვე).

17. ასეა გადმოცემული ტექსტში (ქართლის ცხოვრება 2008: 517); სიმონ ჯანაშიას აზრით, აქ „ქართლი“ ფართო გაგებით, მთლიანი პოლიტიკური ერთეულის – საქარ-

თველოს სახელმწიფოს – მნიშვნელობითაა გამოყენებული (ჯანაშია 1988: 180), თუმცა ბოლო ხანს გამოითქვა ამგვარი თვალსაზრისიც: „სწორედ აქ ჩანს გამოკვეთილად, რომ ქართლი, როგორც მოდგმის აღმნიშვნელი ტერმინი, უპირისპირდება პოლიტიკურად გაგებულ საქართველო-ერთობას“ (ჩხარტიშვილი 2009: 49).

18. „ლეონტის თეორიაზე უთუოდ დიდი გავლენა ჰქონდა ამ გარემოებას: ნათესავის დამახასიათებელი არის არა იმდენად სჯული, რამდენადაც ენა“ (ბერძენიშვილი 1979: 19-20).

19. მირიანის მეფობის იდეური და იდეოლოგიური გააზრების შესახებ იხ. (ჩხარტიშვილი 2009: 84-111); (პატარიძე 2009: 37-54); (ჩხარტიშვილი 2018: 28-90).

20. შდრ. „ქართული იდენტობა ამ დროს საკმაოდ გამოკვეთილი იყო. მირიანს ამ ერთობის წინამძღოლობა სურდა. ამ გამოკვეთილი იდენტობის მქონე ერთობის სახელმწიფოს მართვა კი შეუძლებელი იყო დომინანტურ ეთნიკურ კოლექტივში სრული ინტეგრირების გარეშე. აი, ამიტომ გაიხადა ქართული მშობლიურად მირიანმა, ამიტომ იყო ქართველთა კერპების ერთგული მსახური, ამიტომ ამკობდა ფარნავაზის საფლავს, რითაც თავს ქართლის ტახტზე მის წინამორბედთა საქმის გამგრძელებლად სახავდა“ (ჩხარტიშვილი 2018: 37).

21. „ყოველთვის, როცა ქვეყნის ან ქვეყანასთან ხელისუფლის იდენტიფიკაციის განსაზღვრის ჟამი დგება, ენის ფენომენი სარწმუნოებასთან ერთად ამ იდენტიფიკაციის ნიშანი ხდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ძველი მემატეიანის იდეოლოგია“ (კიკნაძე 2005: 47); შდრ.: (პატარიძე 2005: 219).

22. [მირიანი] „მთლიანად გაქართველდა როგორც გენეტურად, ისე ფაქტიურად, ვინაიდან ასე სჭირდებოდა ქვეყნის წარმატებით მართვას“ (ალექსიძე 2016: 387).

23. „აღიზარდა მირიან მსახურებასა შუილთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა, ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენად სპარსული და ისწავლა ენად ქართული. და ჰმატა შემკობად კერპთა და ბომონთად, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათუის ქმნა, კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოველითავე დიდებითა. და შეიყუარეს იგი ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“ (ახალი ქართლის ცხოვრება 2017: 70).

24. ლიონიძე თავადვე აცხადებს, თუმცა ოდნავ ბუნდოვნად, რომ იგი არა მარტო მონანილეობდა ტრაქტატის შედგენაში, არამედ მეთავეობდა კიდეც მის ჩამოყალიბებასა და მიღებას: „მე გავაკეთე ერთობის ტრაქტატი“, „ხელმოწერილ იქმნა ჩემის მოქმედებით“ (ცქიტიშვილი 1980: 62).

25. დამონშებულია: (ძეგლები 1965: 501); შდრ. (იოსელიანი 1936: 18), (იოსელიანი 1978: 18) (1936 წლის გამოცემაში: „ერთმორწმუნება“; 1978 წლის გამოცემაში: „ერთმორწმუნობა“).

26. „გაერთიანებისათვის მებრძოლნი მაშინ ამჯობინებდნენ „ქართველთა“ ნაცვლად შემოელოთ „ივერიელები“, რომელიც თავისი შინაარსით იგივე რჩებოდა, მაგრამ მასში საკუთრივ „ქართლის“ უპირატესობა ხაზგასმული არ ყოფილა“ (დუმბაძე 1973: 721); შდრ. (ხომტარია 1978: 203).

27. სულხან-საბა ორბელიანი: „მავასხებელი – ვალის მიმცემი“ (ორბელიანი 1991: 428).

28. ეს გამიჯვნა-განსხვავება შესანიშნავადაა ასახული რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“: „არა გეცრუვნეთ შენ, სინმდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო; არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო“ – „ძეგლისწერაჲ ნმიდისა და ღმრთივეჲკრებულისა კრებისაჲ [...]“, ნგ-ში: (გაბიძაშვილი 1978: 184); შდრ.: (ლალანიძე 2014: 58).

დამონშებანი:

- Aleksidze Z. “Ambavi Kartlisa da Natesavisa Matisa”, in: Aleksidze Z. *Krist'ianuli K'avk'asia: Ist'oriul-Pilologiuri Dziejani*, 1, Tb., 2010 (ალექსიძე ზ. „ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“, ნგ-ში: ალექსიძე ზ. *ქრისტიანული კავკასია: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, 1, თბ., 2010).
- Aleksidze Z. “Ena Da Sakhelmts'ipo Kartul Mts'erlobasa da P'olit'ik'ashi”, in: Aleksidze Z. *Krist'ianuli K'avk'asia: Ist'oriul-Pilologiuri Dziejani*, 3, Tb., 2016 (ზაზა ალექსიძე, „ენა და სახელმწიფო ქართულ მწერლობასა და პოლიტიკაში“, ნგ-ში: ზაზა ალექსიძე, *ქრისტიანული კავკასია: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, 3, თბ., 2016).
- Akhali Kartlis Tskhovreba: *Vakht'angiseuli Redaktsia*, T'omi I, T'ekt'i Gamosatsemad Moamzada, Shesavali, Shenishvnebi da Sadzieblebi Daurto Goneli Arakhamiam, Tb., 2017 (ახალი „ქართლის ცხოვრება“: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 2017).
- Berdzenishvili N. “Masalebi Avt'oris Arkividan”, in: Berdzenishvili N. *Sakartvelos Ist'oriis Sak'itkhebi*, Ts'igni IX, Tb.: Metsniereba, 1979 (ბერძენიშვილი ნ. „მასალები ავტორის არქივიდან“, ნგ-ში: ბერძენიშვილი ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი IX, თბ.: მეცნიერება, 1979).
- Boeder W. “Ena da Vinaoba Kartvelta Ist'oriashi”, *Kartvelur Enata St'rukt'uris Sak'itkhebi*, K'rebuli VII, Tb.: Kartuli Ena, 1998 (ბოდერი ვ. „ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, კრებული VII, თბ.: ქართული ენა, 1998).
- Boeder W. “Pikrebi Kartuli Enis Ts'arsulsa da Ats'mq'oze”, *Sakartvelo Atasts'leulta Gasaq'arze*, Tb.: Arete, 2005 (ბოდერი ვ. „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, თბ.: არეტე, 2005).
- Bolkvadze T. *Ideologizirebuli Ghirebulebebi*, Tb.: Tsu Gam-ba, 2005 (ბოლქვაძე თ. *იდეოლოგიზებული ღირებულებები*, თბ.: თსუ გამ-ბა, 2005).
- Bolkvadze T. *Kartuli Natsinaluri Ident'obis Ts'rtoba: Ilias “Iveria”*, Tb.: Nek'eri, 2010 (ბოლქვაძე თ. *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“*, თბ.: ნეკერი, 2010).
- Doborjginidze N. *Ena. Ident'oba da Saist'orio K'ontsep't'ebi: Religiuri Ist'oriograpiis Ts'q'arota Int'erp'ret'atsiis Tsda*, Tb.: Nek'eri, 2010 (დობორჯგინიძე ნ. *ენა, იდენტობა და საისტორიო კონცეპტები: რელიგიური ისტორიოგრაფიის წყაროთა ინტერპრეტაციის ცდა*, თბ.: ნეკერი, 2010).
- Dumbadze M. “Sakartvelos P'olit'ik'uri Mtlanobis Aghdgenis Tsdebi”, *Sakartvelos Ist'oriis Nark'vevebi*, IV, Tb.: Sabchota Sakartvelo, 1973 (დუმბაძე მ. „საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი IV, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973).
- Chkharth'ishvili M. *Kartuli Etnie Religiuri Moktsevis Ep'okashi*, Tb.: K'avk'asiuri Sakhli, 2009 (ჩხარტიშვილი მ. *ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბ.: კავკასიური სახლი, 2009).

- Chkhart'ishvili M. *Sakartvelo III-V Sauk'unekbshi: Khosrovanta Samepo Sakhlis Ist'oria*, Tb.: Nek'eri, 2018 (ჩხარტიშვილი მ. *საქართველო III-V საუკუნეებში: ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია*, თბ.: ნეკერი, 2018).
- Gabidzasvhili E. *Ruis-Urnbnsis K'rebis Dzeglists'era (Pilologiur-T'eqst'ologiuri Gamok'vleva)*, Tb.: Metsniereba, 1978 (გაბიძაშვილი ე. *რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა)*, თბ.: მეცნიერება, 1978).
- Gabidzasvhili E. "Kartvel Ts'mindanta da Dghesasts'aula Mosakhsenebeli Dgheebi Dzveli Kartuli Khelnats'erebis Mikhedvit", in: Gabidzasvhili E. *Shromebi*, I: Monograpiuli Nark'vevebi, Tb., 2010 (გაბიძაშვილი ე. „ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით“, ნგ-ში: გაბიძაშვილი ე. *შრომები*, I: მონოგრაფიული ნარკვევები, თბ., 2010).
- Georgii Merchul, *Zhitie sv. Grigoria Khandziiskogo: Gruzinskii Tekst; Vvedenie, Izdanie, Perevod N. Marra s Dnevnikom Poezdki v Shavshiu i Klardziu, Sankt-Peterburg: Fakultet Vostochnykh Yazykov Sankt-Peterburgskogo Universiteta*, 1911 (Георгий Мерчул, *Житие св. Григория Хандзийского: Грузинский текст; Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII)*, Санкт-Петербург: Факультет восточных языков Санкт-Петербургского университета, 1911).
- Ghaghanidze M. "Aghmosavluri Ts'esis Krist'ianta Gamo Ganuq'oplobasa da Ganq'opilobashi", in: K'ik'nadze Z., Ghaghanidze M. *Gansak'utrebuli Saq'oveltaoshi*, Tb.: Sulkhan-Saba Orbelianis Sasts'avlo Universit'et'i, 2014 (ღაღანიძე მ. „აღმოსავლური წესის ქრისტიანთა გამო განუყოფლობასა და განყოფილობაში“, ნგ-ში: კიკნაძე ზ., ღაღანიძე მ. *განსაკუთრებული საყოველთაოში*, თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, 2014).
- Ghaghanidze M. "Bat'onishvili Vakhusht'i Ertiani Sakartvelos P'irveli Nishnis – Rjulit Kartvelis – Gamo", *Lit'erat'uruli Dzebiani*, XXXIX, 2018 (ღაღანიძე მ. „ბატონიშვილი ვახუშტი ერთიანი საქართველოს პირველი ნიშნის – რჯულით ქართველის – გამო“, *ლიტერატურული ძიებანი*, XXXIX, 2018).
- Grigolia K'. *Nark'vevebi Sakartvelos Ist'oriis Ts'q'arotmtsodneobidan, I: Akhali Kartlis Tskhovreba*, Tb.: Tsu-s Gam-ba, 1954 (გრიგოლია კ. *ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I: ახალი ქართლის ცხოვრება*, თსუ გამ-ბა, 1954).
- Dzveli Kartuli Agiograpiuli *Lit'erat'uris Dzeglebi*, Ts'igni I (V-X sauk'une), Tb.: Sakartvelos SSR Metsnierebata Ak'ademiis Gam-ba, 1963 (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I (V-X სს.), თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1963).
- Ioseliani P'. *Tskhovreba Giorgi Metsamet'isa, Ak'ak'i Gats'erelias Shesavali Ts'erilit, Redaktsiit'a da Shenishvnebit'*, Tf.: Federatsia, 1936 (იოსელიანი პ. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, აკაკი განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ.: ფედერაცია, 1936).
- Ioseliani P'. *Tskhovreba Giorgi Metsamet'isa*, Tb.: Sabchota Sakartvelo, 1978 (*ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა*, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1978).
- Janashia S. "Kartveli Eris Ts'armoshobis Shesakheb", in: Janashia S. *Shromebi*, VI, Tb.: Metsniereba, 1988 (ჯანაშია ს. „ქართველი ერის წარმოშობის შესახებ“, ნგ-ში: ჯანაშია ს. *შრომები*, ტომი VI, თბ.: მეცნიერება, 1988).

- Javakhishvili I. "Ist'oriis Mizani, Ts'q'aroebi da Metodebi Ts'inat da Akhla, I: Dzveli kartuli Saist'orio Mts'erloba (V-XVIII ss.)", in: Javakhishvili I, *Tkhzulebani*, VIII, Tb.: Tsu-s Gam-ba, 1977 (ჯავახიშვილი ი. „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“, ნგ-ში: ჯავახიშვილი ი. *თხზულებანი*: თორმეტ ტომად, ტომი VIII, თბ.: თსუ-ის გამ-ბა, 1977).
- Kartlis Tskhovreba*, T'omi IV: Bat'onishvili Vakhusht'i, Aghts'era Sameposa Sakartvelosa, T'eksti Dadgenili Q'vela Dziritali Khelnats'eris Mikhedvit S. Q'aukhchishvilis mier, Tb.: Sabchota Saqart'velo, 1973 (*ქართლის ცხოვრება*, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973).
- Kartlis Tskhovreba*, Tb.: Meridiani/Art'anuji, 2008 (*ქართლის ცხოვრება*, თბ.: მერიდიანი/არტანუჯი, 2008).
- Kartuli Samartlis Dzeglebi*, T'omi II: Saero Sak'anonmdeblo Dzeglebi (X-XIX ss.), T'ekst'ebi Gamostsa, Shenishvnebi da Sadzieblebi Daurto P'rop. I. Dolidzem, Tb.: Metsniereba, 1965 (*ქართული სამართლის ძეგლები*, ტომი II: საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ.: მეცნიერება, 1965).
- Khosht'aria E. "Sakartvelos P'olit'ik'uri Ertianobis Ideis Asakhva Kveq'nis Dashlilobis Khanis Kartul Dok'ument'ur Ts'q'aroebshi", *Mravaltavi: Pilologiur-Ist'oriuli Dziebani*, VI, Tb.: Metsniereba, 1978 (ხოშტარია ე. „საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში“, *მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, VI, თბ.: მეცნიერება, 1978).
- K'ik'nadze Z. "Ilias Mamuli", *Sakartvelo Atasts'leulta Gasaq'arze*, Tb.: Aret'e, 2005 (კიკნაძე ზ. „ილიას მამული“, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, თბ.: არეტე, 2005).
- Lambert'i A. *Samegrelos Aghts'era*, It'aliuridan Targmna A. Chq'oniam, Tb.: Aiet'i, 1991 (ლამბერტი ა. *სამეგრელოს აღწერა*, იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, თბ.: აიეტი, [1991]).
- Natsvlivshvili I. "Grigol Khandzelis Tskhovrebis" Shests'avlis Ist'oria da Tanamedrove Mdgomoreoba", *Udabnota Kalakmq'op'eli Ts'mida Grigol Khandzeli*, Tb.: Shota Rustavelis Sakhelobis Kartuli Lit'erat'uris Inst'it'ut'i, 2018 (ნაცვლიშვილი ი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა“, *უდაბნოთა ქალაქმყოფელი წმიდა გრიგოლ ხანძთელი*, თბ.: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018).
- Orbeliani S.-S. *Leksik'oni Kartuli*, I, Avt'ograpuli Nuskhebis Mikhedvit' Moamzada, Gamok'vleva da Ganmart'ebata Leksik'is Sadziebeli Daurto I. Abuladzem, Tb.: Merani, 1991 (სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ.: მერანი, 1991).
- P'at'aridze L. *P'olit'ik'uri da Kult'uruli Ident'obani IV-VIII ss-is Kartul Ertobashi: "Kartlis Tskhovrebis" Samq'aro*, Tb.: K'avk'asiuri Sakhli, 2009 (პატარაძე ლ. *პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო*, თბ.: კავკასიური სახლი, 2009).
- P'at'aridze L. "Kartuli Ident'oba (Ist'oriuli Khedvis P'roblemebi)", *Sakartvelo Atasts'leulta Gasaq'arze*, Tb.: Aret'e, 2005 (პატარაძე ლ. „ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები)“, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, თბ.: არეტე, 2005).

Tskit'ishvili Zurab, *Sakartvelos Sakhelmts'ipo Moghvats'eni (XVIII s. II nakhevari – XIX s. damdegi)*, Tb.: Metsniereba, 1980 (ცქიტშიშვილი ზურაბ, *საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი (XVIII ს. II ნახევარი – XIX ს. დამდეგი)*, თბ.: მეცნიერება, 1980).

Zhan Shardenis Mogzauroba Sp'arsetisa da Aghmosavletis Skhva Kveq'nebshi (*Tsnobebi Sakartvelos Shesakheb*), Tb.: Ilias Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba, 2018 (*ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, თბ.: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).

Merab Ghaghanidze
(Georgia)

Prince Vakhushti on Language and Literacy among the Signs of the United Georgia

Summary

Key Words: Language, Literacy, Signs, Unity, History, Identity.

Prince Vakhushti (1696-1756), at the point of his work “Description of the Kingdom of Georgia (1745), where he ends the story of united Georgia and is about to start telling the history of Georgia after its disintegration (i. e. into Kingdom of Kartli, Kingdom of Kakheti, Kingdom of Imereti, and also Samtskhe-Saatabago), tries to identify if there is or has survived any pillar or sign following the disintegration of the united kingdom what would give the feeling of unity to the residents of different isolated lands of the politically split country, or what proved the general Georgian unity in his days, even if it did not really exist by then.

Vakhushti identifies three of such persisting signs; however, later, he added other fourth and fifth traits to the list. He associates these signs not as much with the nationality (as it seemed to expect) or some other unifying feature, as the past “united monarchy” of Georgia – the circumstances of the historian’s times are meant, but passed and survived from the past. As for these signs, in Vakhushti’s opinion, they are so much self-denoting that clearly show all his contemporaries the past unity of the country.

If the first sign of unity for Vakhushti is the religious belief – “the faith of Georgians”, the second sign is language and literacy. Surely, Vakhushti considers the language and script such special signs, which not only distinguish the Georgians from all other nations, but give them the feeling of unity. Vakhushti does not isolate or separate the language and the script, as he considers both of them, jointly and inseparably, as the second sign, but at the same time, he does not reckon that they either stipulate, or result from one another.

Vakhushti’s approach to the language and script differs from that of his forerunners and precursors (ancient Georgian historians, ecclesiastical literature) and modern sources (historical-legal documents).

Vakhushti thinks that the second sign of the united monarchy, the Georgian language, is neither an ecclesiastical-liturgical language uniting and consolidating the country, nor a common language for the residents of disintegrated Georgia: he talks about the language, which was a single state language during the country's past unity.

Vakhushti considers both, the language and the script, as special sign or signs, which not only distinguish the Georgians from the others, but also give them the feeling of unity.

Importantly, like Vakhushti considers an ordinary Georgian man as the most reliable and primary source to determine national unity, it is the case in the given instance, too: the feeling of unity among the Georgians is consolidated by three questions given to an ordinary and to any Georgian: "Where are you from?", "Which language do you speak?", and "What is your script?" Their answers demonstrate that their self-feeling is national, public, common.

It must be said that as Vakhushti considers the Georgian language (and Georgian script as well), as one of the survived signs of sole monarchy and national unity consequently, he takes no notice of legitimacy of the Georgian language in relation to the languages dominant in the neighboring states (this was a very severe issue of the Georgian culture almost all over the medieval centuries and was still urgent even in the following period) and says nothing about the liturgical use of the Georgian language or importance of such a use for the state national unity. It seems that Vakhushti is not concerned with the way the Georgian language is perceived among other languages or whether its use is lawful or appropriate as a cultural or liturgical language (during a short historical era in Vakhushti's times, these questions had totally lost their urgency, as by that time, the Georgian cultural-educational and ecclesiastic environment had been badly influenced by a relatively mild violence of the Greek language, but a vulgar violence of the Russian language was still to expect). The historian is not even concerned with comparing or linking the Georgian language with other neighboring or non-neighboring languages (if not considering an exception when he talks about the association of the Megrelian language with the Georgian language). In this instance, a language is a very valuable sign for him proving that speaking one common language and naming such a language as their own language by various Georgian tribes is an undisputed proclamation of the past sole monarchy, or national unity of the Georgian state, surely like in case of the unity of "faith" and its firm memorization.

Indeed, Vakhushti says nothing about consanguinity, kin relations or affinity (virtually, personal, interpersonal relations) between the Georgians what must not have been expected of him naturally, as no matter how allusively Vakhushti's phrases show his trial to identify the signs of national unity, in this case, the historian clearly talks about the signs of sole monarchy.

Thus, the first and second signs given by Vakhushti surely prove the national unity, though of the only state that no more existed in his days, whose state belief and state language are defined as Georgian, with the memory of this two-dimensional unity maintained so vividly and effectively by the ancestors of the past state nationals.